ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №5

26.12.2025 თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:30 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. შალვა ოგბაიძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შოთა ქევხიშვილი - კომისიის წევრი;
3. ვალერიან პაპუაშვილი - კომისიის წევრი;
4. ლეილა კოლომიკოვი - კომისიის წევრი;
5. ბექა მენთეშაშვილი - კომისიის წევრი;
6. დავით ხაბეიშვილი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0325358138-03; 24.12.2025);
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0325358136-03; 24.12.2025);
3. „საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან გათავისუფლების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032535921-03; 25.12.2025).

მომხსენებელი:

- **ნინო ბაგაშვილი** - სსიპ„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს“ უფროსი.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0325358138-03; 24.12.2025):

ნ.ბაგაშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დღის წესრიგში დადგა წარმოდგენილ დადგენილებაში რიგი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მასთან ერთად მარშრუტებში გარკვეული კორექტივების შეტანა. კერძოდ:

- მთისძირის ქუჩის მოსახლეობა ითხოვდა ისნის რაიონში, მთისძირის ქუჩის მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას და ამ მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) **№567 მარშრუტში** ცვლილების შეტანას. შესაძლებლობიდან გამომდინარე, ცვლილება შევიდა ავტობუსის (M2 კატეგორია) №567 მარშრუტში და გიორგი ღვინიაშვილის ქუჩიდან მოძრაობა გააგრძელა მთისძირის ქუჩის მიმართულებით. მარშრუტის რაოდენობებში და სამუშაო განრიგში ცვლილებები არ შესულა.
- შოთა ნადირაშვილის ქუჩის მოსახლეობა ითხოვდა სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებას და ამ მიზნით ავტობუსის (M2 კატეგორია) **№407 მარშრუტში** ცვლილებების შეტანას. გამოიკვეთა საშუალება და ავტობუსის (M2 კატეგორია) №407 მარშრუტზე სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებული იქნა დამატებითი ერთი ერთეული მოძრავი შემადგენლობა. შესაბამისად, შეიცვალა მარშრუტის სამუშაო განრიგიც. იმის გათვალისწინებით, რომ ავტობუსის (M2 კატეგორია) №407 მარშრუტი შედის ლოტი №2-ში, ამავე ლოტის ავტობუსის (M2 კატეგორია) №532 მარშრუტის მაქსიმუმით განსაზღვრულ რაოდენობას (16 ერთეული), მოაკლდა ერთი ერთეული და დაემატა ავტობუსის (M2 კატეგორია) №407 მარშრუტს და გახდა 6 (ექვსი) ერთეული, ნაცვლად 5 (ხუთი)-სა.
- მოსახლეობა ითხოვდა გივი ამილახვრის, ვახტანგ ფირცხალავას ქუჩების და სამპანტების I შესახვევის მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას; ასევე, მოსახლეობა ითხოვდა კრწანისის ქუჩის

მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებას და ამ მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანას. რესურსის ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: მ/ს ,,300 არაგველის" მიმდებარე ტერიტორიიდან კრწანისის ქუჩის მიმართულებით ამოქმედდა **ახალი №544 მარშრუტი,** სადაც გათვალისწინებული იქნა ერთი ერთეული მოძრავი შემადგენლობა. შედგა შესაბამისი სამუშაო განრიგი. იმის გათვალისწინებით, რომ მარშრუტი მოექცა ლოტი №3-ში, ამავე ლოტის ავტობუსის (M2 კატეგორია) **№416 მარშრუტის** მაქსიმუმით განსაზღვრულ რაოდენობას (13 ერთეული), მოაკლდა 2 (ორი) ერთეული და განესაზღვრა ავტობუსის (M2 კატეგორია) №544 მარშრუტს. გივი ამილახვრის ქუჩიდან მ/ს ,,ვარკეთილის მიმართულებით ამოქმედდა **ახალი №559 მარშრუტი,** სადაც გათვალისწინებული იქნა ერთი ერთეული მოძრავი შემადგენლობა. შედგა შესაბამისი სამუშაო განრიგი. იმის გათვალისწინებით, რომ მარშრუტი მოექცა ლოტი №3-ში, ამავე ლოტის ავტობუსის (M2 კატეგორია) №416 მარშრუტის მაქსიმუმით განსაზღვრულ რაოდენობას (13 ერთეული), მოაკლდა 2 (ორი) ერთეული და განესაზღვრა ავტობუსის (M2 კატეგორია) №559 მარშრუტს. ერთიანობაში, ლოტი №3-ში შემავალ ავტობუსის (M2 კატეგორია) №416 მარშრუტის მაქსიმუმით განსაზღვრულ რაოდენობას (13 ერთეული) მოაკლდა 4 (ოთხი) ერთეული და დარჩა 9 (ცხრა) ერთეული.

- ავტობუსის (M2 კატეგორია) **№481 მარშრუტში** შევიდა ცვლილება და დიდების ქუჩიდან მოძრაობა გაუგრძელდა სამპანტების I შესახვევის მიმართულებით, ხოლო, უკუ მიმართულებისას მოძრაობას კვლავ დიდების ქუჩით აგრძელებს. მარშრუტის რაოდენობებში და სამუშაო განრიგში ცვლილებები არ შესულა.
- ავტობუსის (M2 კატეგორია) **№508 მარშრუტში** შევიდა ცვლილება და ავშნის III შესახვევიდან მოძრაობა გაუგრძელდა ვახტანგ ფირცხალავას ქუჩის მიმართულებით მიხეილ ვაშაკიძის ქუჩის გადაკვეთამდე. მარშრუტის რაოდენობებში არა, ხოლო სამუშაო განრიგში ცვლილებების გატარება საჭიროა: 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში შაბათ, კვირა და უქმე დღეს 7:00-8:00, 21:00 - 22:00 და 22:00 - 23:00 საათებში. არსებული 25 წუთიანი ინტერვალი იცვლება 20 წუთიანით.
- მუხიანი 2-ის დასახლებაში ნეკრესის, დაისის, ვანის, ხვანჭკარის, ბორჯომის ქუჩებზე და ვარდისუბნის ქუჩის მონაკვეთზე სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულებიდან გამომდინარე, დღის წესრიგში დადგა აღნიშნულ ქუჩებზე მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება, სადაც განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები: ავტობუსის (M2 კატეგორია) **№461 მარშრუტი,** რომელიც მოძრაობდა ზნაკვის ქუჩის ბოლომდე (ვარდისუბნის ქუჩის გადაკვეთა), მისი მოძრაობა გაგრძელდა ვარდისუბნის ქუჩის მიმართულებით (№152-ის მიმდებარედ) და მოძრავ შემადგენლობას დაემატა

ერთი ერთეული. შესაბამისად, ცვლილება შევიდა ავტობუსის (M2 კატეგორია) **№531 მარშრუტის** მაქსიმუმით განსაზღვრულ რაოდენობას (14 ერთეული) მოაკლდა ერთი ერთეული და განესაზღვრა ავტობუსის (M2 კატეგორია) №461 მარშრუტს. ასევე, სამუშაო განრიგი არ შეცვლილა. ავტობუსის (M2 კატეგორია) **№467 მარშრუტს,** რომელიც სატრანსპორტო მომსახურებას ახორციელებს მუხიანი 2-ის დასახლებაში, მგზავრთნაკადის გათვალისწინებით შეეცვალა მოძრავი შემადგენლობის რაოდენობა, დააკლდა ერთი ერთეული და განისაზღვრა 2 (ორი) ერთეული. ასევე, ცვლილება შევიდა ავტობუსის (M2 კატეგორია) №467 მარშრუტის მაქსიმუმით განსაზღვრულ რაოდენობაში (4 ერთეული), დააკლდა ერთი ერთეული და განესაზღვრა 3 (სამი) ერთეული. შეიცვალა სამუშაო განრიგიც. ავტობუსის (M2 კატეგორია) **№499 მარშრუტს,** რომელიც სატრანსპორტო მომსახურებას ახორციელებს მუხიანი 2-ის დასახლებაში, მგზავრთნაკადის გათვალისწინებით შეეცვალა მოძრავი შემადგენლობის რაოდენობა, დააკლდა ერთი ერთეული და განისაზღვრა 2 (ორი) ერთეული. ასევე, ცვლილება შევიდა ავტობუსის (M2 კატეგორია) №499 მარშრუტის 3 მაქსიმუმით განსაზღვრულ რაოდენობაში (4 ერთეული), დააკლდა ერთი ერთეული და განესაზღვრა 3 (სამი) ერთეული. შეიცვალა სამუშაო განრიგიც. დაწესდა ავტობუსის (M2 კატეგორია) **№500 მარშრუტი,** რომელიც სატრანსპორტო მომსახურებას ახორციელებს მუხიანი 2-ის დასახლებაში რეაბილიტირებულ გრემის ქუჩაზე. მარშრუტზე განისაზღვრა ერთი ერთეული მოძრავი შემადგენლობა. შესაბამისად, სამუშაო განრიგიც. აღნიშნული რესურსი გამოყენებული იქნა ავტობუსების (M2 კატეგორია) №467, 499 მარშრუტებზე განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე.

- **მარშრუტი №420** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: დილის საათებში დაემატოს 06:30 გასვლა, ხოლო არაპიკურ დროებში 10:00-17:00 საათებში 15 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით. ცვლილებები საჭიროა შევიდეს 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში სამუშაო, შაბათ, კვირა და უქმე დღეს; ხოლო 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში მხოლოდ სამუშაო და შაბათ დღეს.
- **მარშრუტი №423** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: სამუშაო დღეს პიკის საათებში შეიცვალოს ინტერვალი და სამის ნაცვლად გახდეს 4 წთ., ხოლო არა პიკის საათებში 7-ის ნაცვლად გახდეს 8 წთ.; 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში, შაბათ დღეს საჭიროა დაემატოს ერთი ერთეული, ხოლო 21.06-დან 16.09- მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდში დასამატებელი სამუშაო დღეზე და შაბათ დღეს ერთი ერთეული. შესაბამისად, შეიცვლება სამუშაო განრიგები.

- **მარშრუტი №424** - სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით საჭიროა: მარშრუტის მოძრაობა მ/ს ,,ვარკეთილის" მიმდებარე ტერიტორიიდან გაგრძელდეს ჯავახეთის ქუჩა №93-მდე.
- **მარშრუტი №442** - იმის გათვალისწინებით, რომ მარშრუტის გზასავალს სრულად იმეორებს მ/ს ,,დიდუბის" მიმდებარე ტერიტორიიდან ავტობუსის (M3 კატეგორია) №315 და ძირითადი მიმართულებით ავტობუსის (M3 კატეგორია) №311 მარშრუტი, საჭიროა: გაიზარდოს პიკური ინტერვალი 13 წუთიდან 20 წუთამდე და არა პიკურ დროში -16 წუთიდან 20 წუთამდე. ასევე, შეიცვლება სამუშაო განრიგები. ცვლილებები საჭიროა შევიდეს 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე, ასევე 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდებში, სამუშაო, შაბათ, კვირა და უქმე დღეებზე.
- **მარშრუტი №450** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში სამუშაო დღეს, არა პიკურ პერიოდში არსებული 18 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით. ასევე, აღნიშნულ დღეებში 20:00-21:00 საათებში არსებული 18 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით. ამავე პერიოდში, კვირა და უქმე დღეს პიკის საათებში არსებული 16 წუთი შეიცვალოს 15 წუთით. ამავე მარშრუტზე, 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდში, კვირა და უქმე დღეს არსებული 16 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 15 წუთიანით და 21:00-22:00 საათებში დაგეგმილი 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით.
- **მარშრუტი №452** - საღამოს პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 20:00 -21:00 საათების პერიოდში არსებული 18 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით და გავრცელდეს 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01- მდე, ასევე 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდებში სამუშაო, შაბათ, კვირა და უქმე დღეებში.
- **მარშრუტი №466** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში სამუშაო დღეს პიკის საათებში არსებული 5 წუთიანი ინტერვალის ნაცვლად განისაზღვროს 6 წუთი, ამავე დღეებში არა პიკურ პერიოდში არსებული 7 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 8 წუთიანით და 20:00-21:00 საათებში 7 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 10 წუთიანით. ამავე პერიოდში, შაბათ დღეს პიკურ პერიოდში არსებული 5 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 6 წუთიანით და არა პიკურ პერიოდში არსებული 7 წუთიანი ინტერვალის ნაცვლად განისაზღვროს 9 წუთი და 20:00-21:00 საათებში 7 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 10 წუთიანით; ხოლო კვირა დღეს, პიკის საათებში არსებული 6 წუთიანი ინტერვალის ნაცვლად განისაზღვროს 7 წუთი და არა პიკურ დროში არსებული 8 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 10 წუთიანით.

აღნიშნული ცვლილებები განხორციელდეს, ასევე 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდის სამუშაო, შაბათ, კვირა და უქმე დღეებში.

- **მარშრუტი №468** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში სამუშაო დღეს არა პიკურ საათებში არსებული 18 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით და ანალოგიურად განისაზღვროს სამუშაო განრიგი ამავე პერიოდის შაბათ, კვირა და უქმე დღეებში. 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში გასათვალისწინებელი სამუშაო განრიგი გავრცელდეს ასევე 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდის სამუშაო, შაბათ, კვირა და უქმე დღეებში.
- **მარშრუტი №472** - იმის გათვალისწინებით, რომ მარშრუტის ძირითად გზასავალს მ/ს ,,ისნის" მიმდებარე ტერიტორიიდან იმეორებს ავტობუსის (M3 კატეგორია) №305 მარშრუტი, დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში სამუშაო დღეს არა პიკურ საათებში არსებული 15 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით და არა პიკურ დროებში (07:00 – 08:00 და 10:00- 17:00 საათებში) არსებული 20 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 30 წუთიანით. აღნიშნული ცვლილება გავრცელდეს მითითებული პერიოდის შაბათ, კვირა და უქმე დღეებზე, ასევე 21.06- დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდის სამუშაო, შაბათ, კვირა და უქმე დღეებში. მარშრუტზე ხაზზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა ზემოაღნიშნული პერიოდების სამუშაო, შაბათ, კვირა და უქმე დღეებში შემცირდეს ერთი ერთეულით.
- **მარშრუტი №487** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში სამუშაო დღეს პიკურ საათებში არსებული 15 წუთიანი ინტერვალის ნაცვლად განისაზღვროს 20 წუთი და ანალოგიურად შეიცვალოს სამუშაო განრიგი ამავე პერიოდის შაბათ, კვირა და უქმე დღეებში. 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში გასათვალისწინებელი სამუშაო განრიგი გავრცელდეს ასევე 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდის სამუშაო, შაბათ, კვირა და უქმე დღეებში.
- **მარშრუტი №508** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდის შაბათ, კვირა და უქმე დღეებში 7:00-8:00, 21:00-22:00 და 22:00-23:00 საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 30 წუთიანით.
- **მარშრუტი №510** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში სამუშაო დღეზე არსებული პიკური ინტერვალი 4-ის ნაცვლად

განისაზღვროს 5 წთ. ასევე, ასევე 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდის სამუშაო, შაბათ, კვირა და უქმე დღეებში 22:00-23:00 საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით.

- **მარშრუტი №512** - დილის საათებში არსებული მგზავრთნაკადის გათვალისწინებით საჭიროა: 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდის სამუშაო დღეს 7:00 – 8:00 საათებში არსებული 30 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით.
- **მარშრუტი №513** - დილის საათებში არსებული მგზავრთნაკადის გათვალისწინებით საჭიროა: 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში სამუშაო დღეზე 8:00-9:00 საათებში არსებული 30 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით.
- **მარშრუტი №514** - დილის საათებში არსებული მგზავრთნაკადის გათვალისწინებით საჭიროა: 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში სამუშაო დღეზე 8:00-9:00 საათებში არსებული 30 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით.
- **მარშრუტი №520** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში სამუშაო დღეზე 21:00-22:00 საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით; ხოლო, 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე, ასევე 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდის შაბათ, კვირა და უქმე დღეებში 22:00 – 23:00 საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით.
- **მარშრუტი №524** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პეროდში, ასევე 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდში 22:00-23:00 საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით. 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდში კვირა და უქმე დღეზე განსაზღვრულ 3 ერთეულის ნაცვლად განისაზღვროს 4 ერთეული სამუშაო განრიგის შეუცვლელად.
- **მარშრუტი №534** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდში შაბათ, კვირა და უქმე დღეზე 7:00-8:00, საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 20 წუთიანით; ხოლო, ამავე პერიოდში შაბათ, კვირა და უქმე დღეზე 21:00 - 22:00 და 22:00 – 23:00 საათებში არსებული ინტერვალი შეიცვალოს 30 წუთიანით.
- **მარშრუტი №540** - იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მარშრუტის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს ავტობუსის (M3 კატეგორია) №309 მარშრუტი, საჭიროა: მარშრუტზე 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე, ასევე 21.06-დან 16.09-მდე და 01.01- დან 21.01-მდე პერიოდის სამუშაო, შაბათ,

კვირა და უქმე დღეს ხაზზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებას დააკლდა თითო ერთეული და პიკის და არა პიკურ პერიოდში განისაზღვრა შესაბამისი სამუშაო განრიგები.

- **მარშრუტი №545** - იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მარშრუტის გზასავალს ფარავს ავტობუსის (M3 კატეგორია) №306 და №372 მარშრუტები, მარშრუტს 21.01-დან 21.06- მდე და 16.09-დან 01.01-მდე, ასევე 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდის სამუშაო და შაბათ დღეს ხაზზე მომუშავე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობაში დააკლდება 2-2 ერთეული, ხოლო კვირა და უქმე დღეს ერთი ერთეული. შესაბამისად, განისაზღვრება სამუშაო განრიგებიც.
- **მარშრუტი №539** - დღის პერიოდში არსებული მგზავრთნაკადების გათვალისწინებით, საჭიროა: 21.01-დან 21.06-მდე და 16.09-დან 01.01-მდე პერიოდში სამუშაო დღეს 20:00-21:00, 21:00-22:00 და 22:00-23:00 საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 30 წუთიანით; შაბათ დღეს 7:00-8:00 და 20:00-21:00 საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 30 წუთიანით; კვირა და უქმე დღეს 20:00-21:00 საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 30 წუთიანით. ხოლო, 21.06-დან 16.09-მდე და 01.01-დან 21.01-მდე პერიოდის სამუშაო დღეს 7:00-8:00, 20:00-21:00, 21:00-22:00 და 22:00-23:00 საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 30 წუთიანით; შაბათ დღეს 20:00-21:00 საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 30 წუთიანით; კვირა და უქმე დღეს 10:00 საათიდან 17:00 საათის ჩათვლით და 20:00-21:00 საათებში არსებული 25 წუთიანი ინტერვალი შეიცვალოს 30 წუთიანით;
- **მარშრუტი №554** - გახოკიძის ქუჩაზე (№27-ის მიმდებარედ) საგზაო მოძრაობის ორგანიზების ცვლილებიდან გამომდინარე, საჭიროა: მარშრუტმა კახეთის გზატკეცილიდან მ/ს ,,ვარკეთილის" მიმართულებით მოძრაობისას, შუამთის ქუჩაზე მისასვლელად მოძრაობა გააგრძელოს გიორგი აბაშვილის ქუჩით, ნაცვლად მიხეილ გახოკიძის ქუჩისა.

ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეულ ქუჩებს და გამზირებს შეეცვალათ სახელდებები, შესაბამისი ცვლილებები შევიდა იმ მარშრუტებში, რომლებსაც თავიანთ გზასავალზე უხდებათ ახალი სახელდებით განსაზღვრულ გზებზე მოძრაობა, კერძოდ:

- სანდრო ახმეტელის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია დევი აბაშიძის ქუჩა;
- აკაკი ვასაძის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია სანდრო ახმეტელის ქუჩა;
- ტეხურას ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ვლადიმერ ბახუტაშვილის ქუჩა;
- წყალსადენის ქუჩის ნაწილს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ირაკლი ქემოკლიძის ქუჩა

- თიანეთის გზატკეცილის ნაწილს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ლევან კბილაშვილის ქუჩა;
- ნუცუბიძის მე-5 მ/რაიონში უსახელო ქუჩას ამჟამად ჰქვია ავთო ვარაზის I ჩიხი;
- ძმობის II ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ძმობის ქუჩა;
- შოთა მიქატაძის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია სერგო კოტრიკაძის ქუჩა;
- წნორისწყლის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია აკაკი ვასაძის ქუჩა;
- გვაზაურის II შესახვევს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია გიორგი ძოწენიძის ქუჩა;

დადგენილება ამოქმედდება 2026 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0325358138-03; 24.12.2025) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0325358136-03; 24.12.2025):

ნ. ბაგაშვილი - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შესული მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე, მგზავრთა მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დღის წესრიგში დადგა წარმოდგენილ დადგენილებაში რიგი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა და მასთან ერთად მარშრუტებში გარკვეული კორექტივების შეტანა. კერძოდ:

- ბესარიონ ჭიჭინაძის და გუმათჰესის ქუჩების, ასევე მოსკოვის გამზირზე მცხოვრები მოქალაქეები ითხოვდნენ შოთა რუსთაველის გამზირის და საბურთალოს მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას. იმის გათვალისწინებით, რომ მ/წლის პერიოდში უკვე შემოყვანილი იყო M_3 კატეგორიის

124 ერთეული შესახსრებული ავტობუსი, დღის წესრიგში დადგა ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანა, კერძოდ: ავტობუსის (M3 კატეგორია) #305 მარშრუტზე ჩართული იქნა შესახსრებული ავტობუსები და მარშრუტის მოძრაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩიდან გაგრძელდა საბურთალოს მიმართულებით რუსთაველის გამზირის, მერაბ კოსტავას ქუჩის, კონსტანტინე გამსახურდიას გამზირის, პეკინის გამზირის, ვაჟა ფშაველას გამზირის გავლით, ივანე ჯავახიშვილის სახ. თსუ-ის X კორპუსამდე. აღნიშნულ შემთხვევაში, გამოყენებული იქნა შესახსრებული ავტობუსებისთვის წინასწარ დადგენილი დერეფნები, სადაც, გათვალისწინებულია 18 მეტრიანი ავტობუსების მოძრაობა. შეიცვალა მოძრაობის ინტერვალი;

- ემირ ბურჯანაძის ქუჩაზე და ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე მცხოვრები მოქალაქეები ითხოვდნენ ქეთევან დედოფლის და აკაკი წერეთლის გამზირის მიმართულებით სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას, ასევე დიდ დიღომში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მაცხოვრებლები ითხოვდნენ სატრანსპორტო მომსახურების განხორციელებას მ/ს ,,დიდუბის“ მიმართულებით. იმის გათვალისწინებით, რომ მ/წლის პერიოდში უკვე შემოყვანილი იყო M3 კატეგორიის 124 ერთეული შესახსრებული ავტობუსი, დღის წესრიგში დადგა ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებში ცვლილებების შეტანა, კერძოდ: ავტობუსის (M3 კატეგორია) #306 მარშრუტზე ჩართული იქნა შესახსრებული ავტობუსები და მარშრუტის მოძრაობა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩიდან გაგრძელდა ქეთევან დედოფლის გამზირის, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის და ემირ ბურჯანაძის ქუჩის მიმართულებით, ხოლო აკაკი ბელიაშვილის ქუჩიდან დიდ დიღომში, ფარნავაზ მეფის გამზირისა და დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმართულებით. აღნიშნულ შემთხვევაში, გამოყენებული იქნა შესახსრებული ავტობუსებისთვის წინასწარ დადგენილი დერეფნები, სადაც გათვალისწინებულია 18 მეტრიანი ავტობუსების მოძრაობა. შეიცვალა მოძრაობის ინტერვალი;

- სამგორის რაიონის, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩის და მოსკოვის გამზირის მოსახლეობა ითხოვდა სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებას მ/ს ,,ვარკეთილის" მიმართულებით. იმის გათვალისწინებით, რომ ავტობუსის (M3 კატეგორია) #295 მარშრუტი ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩიდან მოსკოვის გამზირის გავლით მოძრაობდა მ/ს ,,ვარკეთილის" მიმართულებით, აღნიშნულ მარშრუტზე, სადაც ჩართული იყო M3 კატეგორიის ,,isuzus" მარკის 8 მეტრიანი ავტობუსები, ჩანაცვლდა 10,5 მეტრიანი (MAN-A47) ავტობუსებით, რომლებიც გამოთავისუფლდა ავტობუსების (M3 კატეგორია) #305 და #306 მარშრუტებზე 18 მეტრიანი ავტობუსების ჩანაცვლებით. მოძრაობის ინტერვალი დარჩა იგივე;

- მოსახლეობა ითხოვდა სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესებას დედაქალაქში მომუშავე ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტებზე. პირველი ეტაპისთვის,

ავტობუსის (M3 კატეგორია) #295 მარშრუტზე განხორციელებული ცვლილების ფარგლებში გამოთავისუფლებული M3 კატეგორიის ,,isuzus" მარკის 8 მეტრიანი ავტობუსები სატრანსპორტო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გადანაწილდა ავტობუსების (M3 კატეგორია) ##329,331,359,366,391 მარშრუტებზე და შეიცვალა მოძრაობის ინტერვალები;

- დედაქალაქში M3 კატეგორიის შესახსრებული სატრანსპორტო საშუალებებით გარკვეული მარშრუტების დაკომპლექტებიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მგზავრთნაკადების დატვირთვების გადანაწილების გათვალისწინებით, ავტობუსების (M3 კატეგორია) №№ 311,320,323,351,387,388 მარშრუტებზე განხორციელდა მოძრავი შემადგენლობის რაოდენობებში კორექტირება, ხოლო ავტობუსების (M3 კატეგორია) №№379,386,394 მარშრუტებზე საშუალო ტევადობის ნაცვლად, განისაზღვრა დიდი ტევადობის ავტობუსები და მასთან ერთად მოძრავი შემადგენლობის რაოდენობები; ასევე, ავტობუსის (M3 კატეგორია) №336 მარშრუტზე, დიდი ტევადობის რაოდენობების ნაწილში შევიდა ცვლილება.

- იმის გათვალისწინებით, რომ აბასთუმნის ქუჩაზე გარკვეული გარემოებიდან გამომდინარე შეიცვალა მოძრაობის ორგანიზება, საჭიროა: ავტობუსის (M3 კატეგორია) №327 მარშრუტს სადგურის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე შეეცვალოს მოძრაობის მიმართულება და აკაკი წერეთლის გამზირიდან მოძრაობა გააგრძელოს გიორგი ცაბაძის ქუჩის მიმართულებით, შემდეგ დავით აღმაშენებლის და თამარ მეფის გამზირის გავლით დაუკავშირდეს თევდორე მღვდლის ქუჩას და შევიდეს დადგენილ გაჩერებაზე; უკუ მიმართულებისას, აბასთუმნის ქუჩის ნაცვლად, იმოძრაოს თევდორე მღვდლის ქუჩით და გიორგი ცაბაძის ქუჩით დაუკავშირდეს აკაკი წერეთლის გამზირს და იმოძრაოს დადგენილი სქემით.

- იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეულ ქუჩებს და გამზირებს შეეცვალათ სახელდებები, შესაბამისი ცვლილებები შევიდა იმ მარშრუტებში, რომლებსაც თავიანთ გზასავალზე უხდებათ ახალი სახელდებით განსაზღვრულ გზებზე მოძრაობა, კერძოდ:

- სანდრო ახმეტელის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია დევი აბაშიძის ქუჩა;
- აკაკი ვასაძის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია სანდრო ახმეტელის ქუჩა;
- ტეხურას ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ვლადიმერ ბახუტაშვილის ქუჩა;
- თიანეთის გზატკეცილის ნაწილს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ლევან კბილაშვილის ქუჩა;
- ვარკეთილის ზ/პლატოზე უსახელო ქუჩას ამჟამად ჰქვია დიმიტრი ქააძის ქუჩა;
- გიორგი აბაშვილის ქუჩის ნაწილს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ლევან ჩოხელის ქუჩა;
- ნუცუბიძის მე-5 მ/რაიონში უსახელო ქუჩას ამჟამად ჰქვია ავთო ვარაზის I ჩიხი;

- ბესარიონ ქებურიას დას. I და III ქუჩებს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია იზანი ცერცვაძის ქუჩა;
- მეფე მირიანის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია მირიან მეფის ქუჩა;
- ჯუმბერ ლეჟავას I შესახვევს გადაერქვა და ამჟამად ჰქვია ბიძინა ჩოლოყაშვილის ქუჩა;
- გლდანისხევის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია მიხეილ გამკაძის ქუჩა;
- შოთა მიქატაძის ქუჩას გადაერქვა და ამჟამად ჰქვია სერგო კოტრიკაძის ქუჩა.

დადგენილება ამოქმედდება 2026 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-0325358136-03; 24.12.2025) განხული იქნეს საკრებულოს ხდომაზე.

3. „საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან გათავისუფლების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032535921-03; 25.12.2025):

ნ.ბაგაშვილი - 2025 წლის 17 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლების შესახებ“ საქართველოს №1288-IVმს-XIმპ კანონი. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად პირი გათავისუფლდა „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A“ კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის – ტაქსის (M1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების

შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის №24-80 დადგენილებით განსაზღვრული, საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან, რომლის საფუძველზეც, მას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[4] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციული სახდელი 2025 წლის 1 ნოემბრამდე დაედო. აღნიშნული კანონით სამართალდამრღვევი პირი თავისუფლდება მათ შორის, გასამმაგებული ჯარიმისა და გასამმაგებული ჯარიმის გასამმაგებული ოდენობის ჯარიმისგან.

ამავე კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ევალება მიიღოს შესაბამისი სამართლებრივი აქტი, რომლის საფუძველზედაც საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვის მფლობელი გათავისუფლდება ამ ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან, რომლის საფუძველზედაც მას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135[4] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციული სახდელი 2025 წლის 1 ნოემბრამდე დაედო.

პირს ადმინისტრაციული სახდელისგან – ჯარიმისგან (მათ შორის, გასამმაგებული ჯარიმისა და გასამმაგებული ჯარიმის გასამმაგებული ოდენობის ჯარიმისგან), შესაბამისი საურავის აღუსრულებელი ნაწილისგან ან/და სათანადო ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან გასათავისუფლებლად არ მოეთხოვება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის“ მიმართვა. დადგენილებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიების გატარება „A“ კატეგორიის ტაქსის ნებართვის მფლობელის მომხმარებლის პირად სივრცეში დაევალება ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ (ს/ნ 405026877).

დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 6, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- „საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M1 კატეგორია) გადაყვანის „A“ კატეგორიის ნებართვის გაცემის ფასის გადახდის საქმეში არსებული დავალიანებისგან გათავისუფლების შესახებ“ ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032535921-03; 25.12.2025) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ოგბაიძე